ქ. თბილისის მუნიციპალეტის საკრებულოს

და

ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

წევრების

ირაკლი ნადირაძის, მარიკა დათუკიშვილის, ნიკოლოზ ვაჩეიშვილის, ლილე ლიპარტელიანის, თორნიკე ბიკაშვილის

მიერ

გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენისა და ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრის

ოქმი

თბილისი **28 ოქტომბერი 2021 წ.**

საქართველოს ორგანული კანონის ''ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 88-ე მუხლის შესაბამისად,, მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთან საჯარო შეხვედრის ფორმატში ანგარიშის წარდგენის უზრუნველსაყოფად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის წევრების მიერ საჯარო შეხვედრის თარიღი არაერთხელ შეიცვალა კოვიდპანდემიიდან გამოწვეული მიზეზებიდან გამომდინარე.

მიმდინარე წლის 28 ოქტომბერს, პანდემიის რეგულაციების დაცვით ჩატარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების : **ირაკლი ნადირაძის, მარიკა დათუკიშვილის, ნიკოლოზ ვაჩეიშვილის, ლილე ლიპარტელიანის, თორნიკე ბიკაშვილის ანგარიშის წარდგენა** ამომრჩეველთა ჯგუფთან.

შეხვედრას უძღვებოდა ფრაქციის თავმჯდომარე ირაკლი ნადირაძე.

ფრაქციის წევრებმა საჯარო შეხვედრის დამსწრე მოქალაქეებს, ამომრჩეველებს გააცნეს მათ მიერ, საკრებულოს წევრის სტატუსით გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია.

საკრებულოს წევრებმა დამსწრე ამომრცევლებს გააცნეს ის პრობლემები რასაც ისინი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მთავარი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები აწყდებოდნენ მთელი წლის განმავლობაში, რის გამოც ფრაქციის წევრები იძულებულნი გახდნენ მიემართათ პოლიტიკური პროტესტისთვის, საკრებულოს სხდომებისთვის გამოეცხადებინათ ბოიკოტი.

საკრებულოს წევრებმა ისაუბრეს, თუ როგორ ხდებოდა მათი უფლების, მიეღოთ ყველა ინფორმაცია, რაც საჭიროა მათი უფლებამოსილების განხორციელებისთვის, შეზღუდვა.

კანონმდებლობით დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ როგორ ხდება საკრებულოს სხდომების მოწვევა შემჭიდროებულ ვადებში და სხდომებამდე უმცირეს დროში როგორ ხდება დამატებითი მასალების მიღება, დღის წესრიგის დაზუსტება და საკითხების დამატება, რაც ხელს უშლის საკრებულოს წევრებს დროულად შეძლონ მასალების სათანადო შესწავლა, ოპოზიციონერი წევრების მოთხოვნის მიუხედავად აღნიშნული პრაქტიკა არაფორმალური მმართველობის მიერ არ იქნა შეცვლილი, მიმდინარე მოწვევის საკრებულოში უარყოფილი იქნა მორიგი სხდომების ყოველთვიური ჩატარების კანონმდებლობით წესი.

საკრებულოს წევრებმა ამომრჩევლებს გააცნეს, თუ როგორ ხდება თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გამოყენება ''ქართული ოცნების'' პარტიული ინტერესების შესაბამისად, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობამ როგორ მიაღწია რეკორდულ ნიშნულს, თბილისის მერის ერთპიროვნული განკარგვის პირობებში.

ამომრჩევლებს მიეწოდა ინფორმაცია თბილისის მუნიციპალიტეტში შესყიდვების პრაქტიკის თაობაზე და კორუფციული გარიგებებით მუნიციპალიტეტისთვის მიყენებულ ზარალზე.

საკრებულოს დამსწრე წევრებმა ამომრჩევლებს ასევე გააცნეს თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საპროტესტო აქციის მონაწილეების მიმართ სიგნალების ჩამხშობი და მოსასმენი აპარატურის აღმოჩენის ფაქტის შესახებ. ამავდროულად არაფორმალური მმართველობის პირობებში როგორ არის მიღებული პრაქტიკა, რიგ შემთხვევებში სხდომებიდან, საკრებულოს შენობიდან ძალის გამოყენებით გაიყვანონ იქ მომუშავე საკრებულოს წევრი ან საშუალება არ მისცენ ოპოზიციონერ საკრებულოს წევრს თავისუფლად მიიღოს მასთან მოსული მოქალაქე.

საკრებულოს წევრებმა ისაუბრეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებში ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებაზე, არჩევნების პირველ ტურში დაფიქსირებულ პრობლემებზე, მუნიციპალიტეტის ინტერესებზე.

საკრებულოს/ფრაქციის წევრებმა უპასუხეს დამსწრეთა შეკითხვებს,

ირაკლი ნადირაძე

საჯარო შეხვედრის წარმართვაზე პასუხისმგებელი პირი